საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის

N8 პენიტენციური დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2024

სარჩევი

1. შესავალი....3
2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა....5
2.1. დაწესებულების თანამშრომლების მიერ ძალადობა....5
2.2. პატიმართა შორის ძალადობა....5
2.3. დეესკალაციის ოთახების და სამარტოო (უსაფრთხო) საკნების გამოყენება....6
2.4. პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა....7
2.5. პატიმრობის პირობების კუმულატიური ეფექტი....8
3. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორები....9
3.1. მატერიალური პირობები (ფიზიკური გარემო)....9
3.2. დღის განრიგი, რეაბილიტაცია....10
3.3. სამედიცინო მომსახურება....13
3.3.1. სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დოკუმენტაცია....13
3.3.2. ფსიქიკური ჯანმრთელობა....16
3.4. შეზღუდული კონტაქტი გარე სამყაროსთან....17
3.5. გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები....20
4. მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები....21
4.1. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები....21
4.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები....23

1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2024 წლის 4, 5, 6, 11, 12 და 28 ივნისს, ასევე 2, 3 და 4 ივლისს პრევენციული ვიზიტები განახორციელეს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში. პრევენციული ვიზიტების მიზანს სრულწლოვან პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება წარმოადგენდა. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას, N8 პენიტენციური დაწესებულების პერსონალი ხელს უწყობდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პრევენციული ვიზიტის განხორციელებაში. თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე ჯგუფის წევრების თავისუფალ გადაადგილებას და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას.

პრევენციული ვიზიტის დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მიუღიათ ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება პატიმრებს შორის ფიზიკური ძალადობის შემთხვევები. პატიმართა შორის ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი კი დაწესებულების გადატვირთულობა და პერსონალის ნაკლებობაა

მიუხედავად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ არასათანადო მოპყრობად შეფასებისა, დაწესებულებაში პირველადი შესახლების დროს, პატიმრებს კვლავ სთხოვენ სრულად გაშიშვლებასა და ბუქნების გაკეთებას. ასევე, გასული წლების მსგავსად, პატიმრების დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსება უმეტეს შემთხვევაში, კვლავ მაქსიმალური ვადით ხდება და ადგილი აქვს ერთი და იგივე პირების ფაქტობრივად უწყვეტ, ხანგრძლივ მოთავსებას, მცირე ინტერვალებით. ასეთ შემთხვევებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებისთვის არ არის უზრუნველყოფილი კრიზისული სიტუაციების მართვის სათანადო რესურსები და ფსიქო-სოციალური მხარდამჭერი სერვისები.

დაწესებულების გადატვირთულობის ფონზე პატიმართა ნაწილი არ იყო უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით.[1] რიგ შემთხვევებში, ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად იყვნენ განთავსებული, რაც კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.[2] დაწესებულებაში პრობლემებია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვის კუთხით. სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით დაწესებულებაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით რაიმე სახის პროგრესი არ დაფიქსირებულა. სრულწლოვან მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი (90 %) კვლავ არ არის ჩართული რაიმე სახის

[1] „პენიტენციური კოდექსის“ 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[2] „პენიტენციური კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

სარეაბილიტაციო აქტივობებში. სრულწლოვან პატიმრებს, წინა წლების მსგავსად, არ ეძლევათ 1 საათზე მეტი ხნით გასეირნების შესაძლებლობა.

დაწესებულებაში განსაკუთრებულად დატვირთულები არიან ექთნები, კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება. ხშირ შემთხვევაში, სამედიცინო ბარათებში არსებული ჩანაწერები მწირია და არ არის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გაწეული დახმარების შესახებ ჩანაწერი. ფსიქიატრიული დახმარება არ ატარებს ბიო-ფსიქო-სოციალურ ხასიათს და მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება.

გასული წლების მსგავსად, ხანმოკლე პაემნები, სამწუხაროდ, კვლავ მინის ბარიერის მიღმა, ტელეფონების მეშვეობით ხორციელდებოდა. კვლავ პრობლემურია კონფიდენციალურ გარემოში სატელეფონო ზარის განხორციელება, ასევე დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა. კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება კვლავ დაწესებულების პერსონალზეა დამოკიდებული.

უცხოელი პატიმრები განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში არიან. ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემები ხელს უშლით, სრულყოფილად ისარგებლონ დაწესებულებაში არსებული სერვისებით. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარ უფლებებზე, უჭირთ დაწესებულების თანამშრომლებთან კომუნიკაცია და გარე სამყაროსთან კონტაქტის მწირი შესაძლებლობები აქვთ.

უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ნაწილი სარგებლობს ისეთი შეღავათებით, როგორიცაა ხანმოკლე პაემნების დროს ოჯახის წევრებთან უშუალოდ, მინის ბარიერის გარეშე შეხვედრა, სატელეფონო ზარების კონფიდენციალურ გარემოში განხორციელება, დღეში 2 საათიანი გასეირნება და სავარჯიშო სივრცეებით სარგებლობა, თუმცა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა მეორე ნაწილი ამ შეღავათებით ვერ სარგებლობს, ხანგრძლივად მარტო არიან მოთავსებული და უკიდურესად აქვთ შეზღუდული ადამიანური კონტაქტი.

2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

2.1. დაწესებულების თანამშრომლების მიერ ძალადობა

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მიუღიათ ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ.

2.2. პატიმართა შორის ძალადობა

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა შორის ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა.

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ისევ ერთად არიან განთავსებულები ბრალდებულები და მსჯავრდებულები. გადატვირთულობის გამო, პატიმრების საკნებში განაწილების დროს, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის კონფლიქტის და ძალადობის მიზეზი.[3] დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის მიხედვით, ხშირია საკანში ერთად მყოფი ბრალდებულების და მსჯავრდებულების, ასევე ქართველი ეროვნების და უცხოელების ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები.

N8 დაწესებულებაში არ არის შესაბამისი რაოდენობის პერსონალი, რომელიც საკმარისი იქნებოდა დაწესებულებაში წესრიგის შესანარჩუნებლად და პატიმართა შორის ძალადობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად. N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, მსჯავრდებულთა პირველი და მეორე საცხოვრებელი კორპუსების თითოეულ ფლიგელში მოთავსებული იყო 40-60 პატიმარი, ხოლო, მესამე საცხოვრებელი კორპუსის თითოეულ ფლიგელში - 80-100 პატიმარი. რაც შეეხება თანამშრომლების რაოდენობას, თითოეულ ფლიგელზე მორიგეობდა სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების 2 თანამშრომელი.

სახალხო დამცველი წლებია გასცემს რეკომენდაციას იუსტიციის მინისტრის მიმართ, შეიმუშაოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმა და უზრუნველყოს პატიმართა და თანამშრომელთა იმგვარი თანაფარდობა, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.[4]

---

[3] ასე, მაგალითად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, 2024 წლის მარტის თვეში ადგილი ჰქონდა კონფლიქტის 45 შემთხვევას, აპრილის თვეში - 33, ხოლო, მაისის თვეში 34 შემთხვევას.

[4] იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში. გვ. 27. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf> [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში რეკომენდაციით მიმართავდა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, უზრუნველეყო N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულების მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში, თუმცა არც აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულა.[5]

2.3. დეესკალაციის ოთახების და სამარტოო (უსაფრთხო) საკნების გამოყენება

სახალხო დამცველმა გასული წლების ანგარიშებში არაერთხელ აღნიშნა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების მანკიერი პრაქტიკის შესახებ და მიუთითებდა, რომ ადგილი აქვს აღნიშნული ღონისძიების ხანგრძლივ, არამიზნობრივ და დასჯის მიზნით გამოყენებას, რაც სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.[6]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაირკვევა, რომ გასული წლების მსგავსად, პატიმრების დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსება უმეტეს შემთხვევაში, კვლავ მაქსიმალური ვადით ხდება და კვლავ, ადგილი აქვს ერთი და იგივე პირის ფაქტობრივად უწყვეტ მოთავსებას, დღეების და კვირების განმავლობაში, მცირე ინტერვალებით. N8 პენიტენციურ დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, ხშირად გვხვდება 5 დღეზე მეტი ხნით დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების შემთხვევები და ზოგჯერ ადგილი აქვს 10 დღეზე მეტი ხნით მოთავსების შემთხვევებსაც. ერთ შემთხვევაში პატიმარი დეესკალაციის ოთახში ფაქტობრივად უწყვეტად 22 დღის განმავლობაში იმყოფებოდა, ხოლო სამარტოო (უსაფრთხო) საკანში ერთ-ერთი პატიმარი უწყვეტად იმყოფებოდა 30 დღის განმავლობაში.

საგულისხმოა, რომ N8 დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსების ღონისძიება კვლავაც, ხშირად და ხანგრძლივი ვადით გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიმართ, რადგან დაწესებულებაში არ არის უზრუნველყოფილი კრიზისული სიტუაციების მართვის სათანადო რესურსები და ფსიქო-სოციალური მხარდამჭერი სერვისები. გასული წლების მსგავსად, დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში ყოფნის დროს, პატიმრებს უმეტესად არ ეძლევათ თამბაქოს მოწევის, შხაპის მიღების და გასეირნების საშუალება; მათ შეზღუდული აქვთ მაღაზიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და

[5] იხ. იქვე. გვ. 26.

[6] იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში. გვ. 27-32. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf> [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].

პაემნით სარგებლობის უფლება; პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ ჰიგიენის დაცვის საშუალებები და შეზღუდული აქვთ წვდომა გამოსაცვლელ ტანსაცმელზე. დეესკალაციის ოთახში მოთავსება ხშირად, ვერ უზრუნველყოფს პატიმრის დამშვიდებას და ამ საკნებში არსებული პირობები ხშირად, პატიმრების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუარესების მიზეზიც ხდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახები არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. N8 პენიტენციურ დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, ზოგჯერ ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევებს (სხვადასხვა ნივთების გადაყლაპვის, სხეულზე ნაკაწრების მიყენების და კედლებზე ხელების და თავის დარტყმის შედეგად სხეულის დაზიანების შემთხვევები).

2.4. პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა

გამოკითხულ პატიმართა დაახლოებით ნახევარი აცხადებდა, რომ N8 დაწესებულებაში პირველადი შესახლების დროს, დაწესებულების თანამშრომლებმა მათ სრულად გაშიშვლება და ბუქნების გაკეთება მოსთხოვეს.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების დროს, პირს არ უნდა მოეთხოვებოდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლება.[7] ამ სტანდარტის საპირისპიროდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მთლიანად გაშიშვლების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ბუქნების გაკეთების მოთხოვნის პრაქტიკას, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მას არ ითვალისწინებს. ამგვარი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობაა.

გასული წლების ანგარიშებში, საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანით, უზრუნველეყო სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნის და, ასევე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკის აღმოფხვრა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ შესრულებულა.[8]

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

---

[7] ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ (2014 წლის 1-10 აპრილი, პარა. 85), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35cCmvq> [ბოლოს ნანახია:28.07.2024].

[8] იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში. გვ. 38. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf> [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].

- **სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, გამოავლინოს და აღმოფხვრას N8 დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკა და განახორციელოს თანმდევი რეაგირება**

2.5. პატიმრობის პირობების კუმულატიური ეფექტი

გასული წლების მსგავსად, N8 პენიტენციური დაწესებულების მართვა ძირითადად ეფუძნება სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს, რაც გულისხმობს მაქსიმალურად მკაცრი შეზღუდვების, აკრძალვების, რეჟიმის დაწესებას და არ არის ორიენტირებული მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიური ცვლილებისკენ. N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში იმყოფებიან სასეირნო ეზოებში, რომლის მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას; არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა და სათანადოდ არ ხორციელდება მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამები; პატიმრების მიმართ აქტიურად გამოიყენება გარე სამყაროსთან კონტაქტის შემზღუდველი დისციპლინური სახდელები და უსაფრთხოების ღონისძიებები, მათ შორის, სამარტოო საკნებში და დეესკალაციის ოთახებში იზოლირება, სადაც პატიმრებს დამატებით ეზღუდებათ საკუთარ ნივთებზე წვდომა, ასევე შხაპის მიღების, გასეირნების და გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლება.

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო საკნებში პატიმრების ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკას.[9] დაწესებულებაში კვლავაც დგას გადატვირთულობის და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვის პრობლემა.[10]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პატიმრობის პირობები ეწინააღმდეგება „ნორმალიზაციის პრინციპს“[11] და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მოხდას ღირსების დაცვის პირობებში. დაწესებულებაში არსებული შემზღუდველი რეჟიმი, ინციდენტების მართვის პრაქტიკა და საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობა, უარყოფით გავლენას ახდენს პატიმრების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის პატიმრების მიმართ ძალადობის

[9] იხილეთ ქვეთავი: დეესკალაციის ოთახების და სამარტოო (უსაფრთხო) საკნების გამოყენება.
[10] იხილეთ ქვეთავი: მატერიალური პირობები (ფიზიკური გარემო).
[11] ნორმალიზაციის პრინციპი: „ციხის საცხოვრებელი პირობები მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს ციხის გარეთ, საცხოვრებელ პირობებთან“. ციხის ევროპული წესები, წესი N5. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tZ7GbA> [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].

რისკებს, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს[12] და შეიძლება გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[13]

3. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორები

3.1. მატერიალური პირობები (ფიზიკური გარემო)

სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და პირადი ჰიგიენის დაცვა

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამარტოო, უსაფრთხო, შიდა კლასიფიკაციის საკნებსა და სველ წერტილებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. დაწესებულების ზოგიერთ საცხოვრებელ საკანში ნესტისგან დაზიანებული იყო ჭერის საფარი და კედლები. C1 და C2 საცხოვრებელი კორპუსების საშხაპეში ჭერიდან და კედლებიდან ჩამოცვენილი იყო ბათქაში. საშხაპეებში არ იყო ტანსაცმლის საკიდები. რამდენიმე შიდა კლასიფიკაციის საკანში დაზიანებული და დასვრილი იყო ხელსაბანი, ნიჟარებიდან კი წყალი ჟონავდა. შიდა კლასიფიკაციის საპირფარეშოებში ინვენტარს მოდებული ჰქონდა ჟანგი და ობი. როგორც შიდა კლასიფიკაციის საკნებში, ასევე სამარტოო და უსაფრთხო საკნებში იყო ნესტი და მოძველებული ინფრასტრუქტურა.[14]

ბუნებრივი/ხელოვნური ვენტილაცია

ხელოვნური ვენტილაცია არ ფუნქციონირებდა დაწესებულების სამარტოო საკნებსა და შიდა კლასიფიკაციის საკნებში. ხელოვნური ვენტილაცია არ იყო საკმარისი დაწესებულების საცხოვრებელ და ე.წ უსაფრთხო საკნებში. არასაკმარისად ხორციელდებოდა ხელოვნური ვენტილაცია დეესკალაციის ოთახებშიც. აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახებში არ იღება ფანჯრები, შესაბამისად, აქ მოთავსებული პატიმრისთვის ბუნებრივი ვენტილაციაც არ არის ხელმისაწვდომი.

ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის აპრილის თვეში საცხოვრებელ საკნებში დამონტაჟდა ახალი გამწოვი სისტემა, თუმცა ეს სისტემა საკმაოდ სუსტად მუშაობს და ვერ უზრუნველყოფს სათანადო ვენტილაციას.

---

[12] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის(CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 52, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3icl98K> [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].

[13] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/info(2019) 16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2019, პუნქტი 72, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].

[14] ვიზიტის დროს დაწესებულებაში მიმდინარეობდა საკნების ნაწილის გარემონტების პროცესი.

<u>გადატვირთულობა და საცხოვრებელი ფართი</u>

N8 დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 2 325. 2024 წლის 4 ივნისს დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს 2 559 პატიმარი იყო მოთავსებული, შესაბამისად, დაწესებულება გადატვირთული იყო. პატიმართა ნაწილი არ იყო უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით.[15] რიგ შემთხვევებში, ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად იყვნენ განთავსებული, რაც კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.[16]

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უმოკლეს ვადებში შეიმუშაოს N8 დაწესებულების განტვირთვის, კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის და მსჯავრდებულთა ბრალდებულთაგან განცალკევების გეგმა**
- **უზრუნველყოს დაწესებულებაში ხელოვნური სავენტილაციო სისტემის გამართულად ფუნქციონირება და ტემპერატურული რეჟიმის კონტროლი**
- **უზრუნველყოს დაწესებულებაში სათანადო სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება**
- **უზრუნველყოს დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა**

3.2. დღის განრიგი, რეაბილიტაცია

N8 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ სრულწლოვან პატიმრებს, წინა წლების მსგავსად, არ ეძლევათ 1 საათზე მეტი ხნით გასეირნების უფლება.[17] მეტიც, პატიმართა დიდი ნაწილი უარს აცხადებს სასეირნოდ გასვლაზე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ პატიმრებს სასეირნოდ გაყვანას დილის 7 საათიდან[18] სთავაზობენ[19], რაც სეირნობისთვის ძალიან ადრეა. ასევე სასეირნო სივრცეები არ არის მოწყობილი შესაბამისი

---

[15] „პენიტენციური კოდექსის“ 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და პატიმრობის დაწესებულებაში/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ.მ-ზე ნაკლები“.
ამავე კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად, „2026 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულის საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ.მ-ზე ნაკლები“.

[16] „პენიტენციური კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „პატიმრობის დაწესებულებაში განთავსებული არიან ბრალდებულები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან/და შერეული ტიპის პენიტენციური დაწესებულების არსებობის შემთხვევისა. შერეული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულები იზოლირებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისგან სულ მცირე ერთმანეთისგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართობებით“.

[17] იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში. გვ. 43. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 23.07.2024].

[18] დაწესებულების დღის განრიგით გასეირნება დილის 07:30 საათიდან არის გათვალისწინებული და 12:00 სთ-ზე სრულდება.

[19] რაც ასევე დასტურდება გასეირნების ჟურნალებითაც.

ინვენტარით[20] იმგვარად, რომ მიმზიდველი იყოს პატიმრებისთვის. დაწესებულებაში სასეირნო სივრცეები საცხოვრებელი კორპუსების სახურავებზეა და პატიმრების თქმით, მათთვის არ არის საინტერესო იქ დროის გატარება, რადგან სასეირნო სივრციდან ცის გარდა არაფერი ჩანს, არც ბუნებასთან კონტაქტის საშუალებაა.[21]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, დაწესებულებაში სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშისთვის შეიქმნას სათანადო პირობები, სასეირნო ეზოები მოეწყოს მიწის ზედაპირზე (სავარჯიშო ინვენტარით), სადაც შესაძლებელი იქნება განტვირთვა და რეკრეაცია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა ყოველდღიურად ისარგებლონ 1 საათზე მეტი ხნით გასეირნების უფლებით.[22]

წინა წლებთან შედარებით N8 დაწესებულებაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით რაიმე სახის პროგრესი არ დაფიქსირებულა. გადატვირთულობის,[23] რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით მომუშავე პერსონალის არასაკმარისი რაოდენობის და საჭირო ინფრასტრუქტურის სიმწირის პირობებში, დაწესებულებაში მყოფი პატიმრები 23 საათის განმავლობაში, საკანში, საზრისს მოკლებული აქტივობების გარეშე იმყოფებიან. ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების ფონზე, სრულწლოვან მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი (90 %)[24] კვლავ არ არის ჩართული რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობებში[25] და მათთან არ ხდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე[26] მორგებული მუშაობა.

---

[20] სასეირნო ეზოებში მხოლოდ ტურნიკია დამონტაჟებული..

[21]სასეირნო ეზოების დიზაინზე და მიწის დონეზე მოწყობაზე საუბრობდა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2014 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის დროს. პარ. 75, ანგარიში ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/09000016806961f8 > [ბოლოს ნანახია: 16.07.2024].

[22] პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა სუფთა ჰაერზე იმყოფებოდეს (ისარგებლოს გასეირნების უფლებით), რაც სამართლებრივად იძლევა შესაძლებლობას პატიმრის სუფთა ჰაერზე გასეირნება ყოველდღიურად 1 საათზე მეტი ხნით განხორციელდეს.

[23] N8 დაწესებულებაში (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ) პატიმართა განთავსების ლიმიტია 2 325. 2024 წლის 4 ივნისს დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს 2 559 პატიმარი იყო მოთავსებული, აქედან 1 243 ბრალდებული და 1 316 მსჯავრდებული.

[24] 2024 წლის 4 ივნისს დაწესებულებაში 2 559 პატიმარი იყო მოთავსებული, აქედან 1 243 ბრალდებული და 1 316 მსჯავრდებული. მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე სარეაბილიტაციო აქტივობებში 130 მსჯავრდებული იყო ჩართული.

[25] 2024 წლის 1 იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით N8 დაწესებულებაში შემდეგი სარეაბილიტაციო აქტივობები განხორციელდა: 1. ცხოვრების ჯანსაღი წესი (14 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი); 2. სწრაფი ჩარევის პროგრამა (16 ვადიანი მსჯავრდებული); 3. პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევები (1 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი, 10 ვადიანი მსჯავრდებული); 4. ფილმის ჩვენება/სინემათერაპია (26 ვადიანი, 12 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი); 5. ბრაზის მართვა (8 ვადიანი მსჯავრდებული, 1 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი); 6. სამოქალაქო განათლება (12 ვადიანი მსჯავრდებული); 7. ბიბლიოთერაპია (9 ვადიანი მსჯავრდებული, 4 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი); 8. პენიტენციური სტრესის მართვა (10 ვადიანი მსჯავრდებული); 9. დანაშაულის გაცნობიერება (7 ვადიანი მსჯავრდებული). ჯამში 130 მსჯავრდებული იყო ჩართული სარეაბილიტაციო აქტივობებში.

[26] 2024 წლის 3 ივლისის მდგომარეობით, 2 შემთხვევის მმართველს ჯამში 90 ინდივიდუალური გეგმა აქვთ შედგენილი (1 შემთხვევის მმართველს 48 მსჯავრდებულის საქმე აქვს, ხოლო მეორეს - 42).

განხორციელებული მონიტორინგების ვიზიტებისას აშკარა იყო სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების სიმცირე. N8 დაწესებულებაში სრულწლოვან პატიმრებთან მხოლოდ 2 შემთხვევის მმართველი და 9 ფსიქოლოგია დასაქმებული. ერთ ფსიქოლოგზე დაახლოებით 284 პატიმარი, ხოლო შემთხვევის მმართველზე 658 მსჯავრდებული მოდის.

სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, დადგენილია მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრული ოდენობა. შემთხვევების რაოდენობა 50-ს არ უნდა აღემატებოდეს. დამატებით მიღებული საქმეებით გათვალისწინებული შემთხვევები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ოდენობას ამ ოდენობის ერთი მესამედით. მართალია კანონის ეს პუნქტი 2025 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს, თუმცა N8 დაწესებულებაში სოციალური მუშაკების (შემთხვევის მმართველების) და პატიმრების თანაფარდობა მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები დაწესებულებაში სოციალური მუშაკების რაოდენობის გასაზრდელად, რათა დაცული იყოს ზემოთ ხსენებული მოთხოვნა[27]

სამწუხაროდ, შემთხვევის მმართველებს და ფსიქოლოგებს არ აქვთ საკმარისი რაოდენობის, სათანადოდ მოწყობილი სივრცეები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პატიმრებთან მშვიდ, თერაპიულ გარემოში მუშაობა.[28]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია უმოკლეს დროში შემთხვევის მმართველებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდა და თანდათანობით, მრავალფეროვანი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების დანერგვა.

რეკომენდაცია N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს:

- **უზრუნველყოს პატიმრების გასეირნება 1 საათზე მეტი ხნით**

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს სასეირნო ეზოების მოწყობა მიწის დონეზე, ისე, რომ შესაძლებელი იყოს განტვირთვა და რეკრეაცია**

---

[27] სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 64-ე მუხლის მე-10-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის შესაბამისი მუხლების ამოქმედების თარიღებისათვის სოციალური მუშაკების რაოდენობა საკმარისი არ იქნება, შესაბამისი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან სერტიფიცირების გავლის უფლება მისცენ მომიჯნავე პროფესიების მქონე პირებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტით (სერტიფიცირების გავლის უფლება აქვს პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სოციალურ მუშაკად მუშაობს, ან პირს, რომელიც არ მუშაობს სოციალურ მუშაკად, მაგრამ აქვს სოციალური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

[28]ფსიქოლოგებთან და შემთხვევის მმართველებთან ინდივიდუალური შეხვედრებისთვის გამოიყენება დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსებში არსებული ოთახები, სადაც არ არის თერაპიული გარემო, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი და ავეჯი მოძველებულია. აღნიშნულ ოთახებს იყენებს როგორც სოციალური მუშაკი, ასევე ფსიქოლოგი, დაწესებულების რეჟიმის თანამშრომლები და სამეურნეო სამსახურში დასაქმებული მსჯავრდებულები.

- **უზრუნველყოს დაწესებულებაში მრავალფეროვანი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვა და განხორციელება**

3.3. სამედიცინო მომსახურება

3.3.1. სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დოკუმენტაცია

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, ერთ ექიმზე - 300, ხოლო 1 ექთანზე 50 პატიმარზე მეტი არ უნდა მოდიოდეს.[29] დღის განმავლობაში N8 დაწესებულებას ემსახურება 10 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 11 პირველადი ჯანდაცვის ექთანი, 1 წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი, 1 ფსიქიატრი, 2 სტომატოლოგი და მთავარი ექიმი.[30] მორიგე ექიმები და ექთნები კი მორიგეობენ 4 დღეში ერთხელ. შაბათ-კვირას და არასამუშაო დროს დაწესებულებას ემსახურება 3 მორიგე ექიმი და 7 მორიგე ექთანი. დაწესებულებაში თვის განმავლობაში საშუალოდ 2500 პატიმარზე მეტია მოთავსებული. პატიმართა დიდი რაოდენობა და ხშირი გამოძახებები კი სამედიცინო პერსონალის გადატვირთვას იწვევს. განსაკუთრებულად დატვირთულები არიან ექთნები, ერთ ექთანზე სამუშაო დღის განმავლობაში საშუალოდ 130 პატიმარზე მეტი მოდის, არასამუშაო დროს კი მორიგე ექთნების დატვირთვა მნიშვნელვნად იზრდება, რადგან ასეთ დროს 1 ექთანზე საშუალოდ 300 პატიმარი მოდის.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **N8 დაწესებულებაში გაიზარდოს მორიგე ექთნების რაოდენობა მინიმუმ ორჯერ**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ორი სტომატოლოგიური კაბინეტი. ერთი ემსახურება დაწესებულების I და II კორპუსებს, ხოლო მეორე კაბინეტი დაწესებულების III კორპუსს და სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმრებს. აღსანიშნავია, რომ სტომატოლოგები ძლიერ დატვირთული არიან დიდი მოთხოვნის გამო, შესაბამისად, არის რიგები. გასაუბრების დროს პატიმრები განმარტავდნენ, რომ ხანგრძლივად 1 თვე ან მეტიც კი უწევთ გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურების ლოდინი. აღნიშნულმა კი შესაძლოა გაართულოს არსებული სტომატოლოგიური პრობლემა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **N8 დაწესებულებაში უზრუნველყოს გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას**

---

[29] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2007 წლის საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 52.

[30] დღის სამედიცინო პერსონალი დაწესებულებას დილის 10:00 საათიდან საღამოს 6 საათამდე ემსახურება.

საჭიროების შემთხვევებში, დაწესებულებაში პერიოდულად შედიან სხვადასხვა სამედიცინო დარგის ექიმ-სპეციალისტები.[31] დაწესებულებაში არ იწარმოება ექიმ-სპეციალისტთა აღრიცხვის ჟურნალები, რის გამოც შეუძლებელია კონსულტაციის მოლოდინის დროის დადგენა. საყურადღებოა, რომ გასაუბრების დროს პატიმართა ნაწილი აღნიშნავდა, რომ ხშირად 1 თვე ან მეტი უწევთ ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების ჩატარებისთვის ლოდინი. დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად მნიშვნელოვანია ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციებისთვის პაციენტებს არ უწევდეთ ხანგრძლივად ლოდინი.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **დაწესებულებაში უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების სიხშირე იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას**
- **უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა ჟურნალების შევსება, სადაც მითითებული იქნება კონკრეტულ სპეციალისტთან კონსულტაციაზე ჩაწერის, კონსულტაციის ჩატარებისა და გაცემული რეკომენდაციის შესახებ ინფორმაცია**

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო კაბინეტში პატიმრისა და სამედიცინო პერსონალის შეხვედრას დაწესებულების თანამშრომლები არ ესწრებიან. რაც შეეხება სამედიცინო პერსონალის საკანთან მისვლას (საკვებურთან) და საკანში გაწეულ სამედიცინო მომსახურებას, ყოველთვის ესწრება დაწესებულების თანამშრომელი. მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ყველა შემთხვევაში დაცული იყო ექიმისა და პაციენტის შეხვედრის კონფიდენციალურობა. აღნიშნულ საკითხს სახალხო დამცველი თავის არაერთ ანგარიშში უსვამს ხაზს.[32]

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **N8 დაწესებულებაში უზრუნველყოს, რომ სამედიცინო პერსონალისა და პატიმრის ნებისმიერი შეხვედრა იყოს კონფიდენციალური, ნებისმიერი გამონაკლისი კი იყოს დასაბუთებული და დოკუმენტირებული**

კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება, აღნიშნული დასტურდება როგორც პატიმარებთან გასაუბრებისას, ასევე სამედიცინო რეფერალის ერთიანი ელექტრონული ბაზის შემოწმებით.[33] სახალხო დამცველის არაერთ

---

[31] ნევროლოგი, ოტოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, პროქტოლოგი, სტომატოლოგი ორთოპედი, ფსიქიატრი, რადიოლოგი, უროლოგი, ეპილეპტოლოგი, ანგიოლოგი.

[32] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, იხ. ბმული: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია:19.08.2024].

[33] მაგ. ერთ-ერთი მსჯავრდებული დარეგისტრირებული იყო ამბულატორიულად ჰემატოლოგის კონსულტაციის მიზნით, 2023 წლის დეკემბერში, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს არ იყო ჯერ გაყვანილი. ერთ-ერთი პაციენტი დარეგისტრირებული იქნა ამბულატორიულად დერმატოლოგის კონსულტაციის მიზნით, 2024 წლის აპრილის თვის დასაწყისში, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს არ

ანგარიშშია ხაზგასმული გეგმიური სამედიცინო რეფერალის საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის N381 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში განხორციელების მნიშვნელობა.[34]

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **შეისწავლოს N8 დაწესებულებიდან სამედიცინო რეფერალის განხორციელების დაყოვნების მიზეზები, აღმოფხვრას შემაფერხებელი გარემოებები და უზრუნველყოს რეფერალის დროული განხორციელება**

სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სამედიცინო ბარათებში მკურნალობის შედეგების შესახებ ინფორმაცია არ არის, რაც ართულებს მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებას, ასევე გართულებულია წლების განმავლობაში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილების ობიექტურად შეფასება. ხშირ შემთხვევაში, სამედიცინო ბარათებში არსებული ჩანაწერები მწირია და არ არის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაცია. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში ხაზს უსვამს ელექტრონული ჩანაწერების სისტემის დანერგვის მნიშვნელობას და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.[35] სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ დროულად მოხდება აღნიშნული სისტემის დანერგვა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **სამედიცინო პერსონალის მიერ უზრუნველყოფილი იქნას სამედიცინო ბარათების სრულყოფილი წარმოება**

საყურადღებოა უცხოენოვან პატიმრებთან სამედიცინო პერსონალის კომუნიკაციის სირთულე. მართალია დაწესებულებაში აქვთ შესაძლებლობა თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის, თუმცა ყოველდღიური საქმიანობისას თარჯიმანი არ არის ჩართული, რაც ართულებს სამედიცინო პერსონალის მხრიდან სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. მაგალითად, ერთ-ერთი პაციენტის შემთხვევაში სამედიცინო ბარათში მითითებულია, რომ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ენის ბარიერის გამო გართულებულია. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევებში უზრუნველყოფილი იქნას

იყო ჯერ გაყვანილი. ერთ-ერთი მსჯავრდებული სასწრაფო დაყოვნებული წესით იქნა დარეგისტრირებული 2024 წლის მარტში მარცხენა ზემო კიდურზე არსებული არტერიო-ვენური ფისტულის გაუქმების მიზნით, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროისთვის გაყვანილი არ იყო. ასევე, ერთ-ერთი პაციენტი, ფიმოზის დიაგნოზით, სასწრაფო დაყოვნებული წესით მკურნალობის მიზნით დარეგისტრირებული იქნა 2024 წლის მაისში, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს არ იყო ჯერ გაყვანილი.

[34] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში. გვ. 53 იხ. ბმული < https://ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 25.07.2024].

[35] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, გვ 55 იხ. ბმული < https://ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 25.07.2024].

თარჯიმნების მომსახურება, რათა პაციენტმა მიიღოს დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება.[36]

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **ყველა უცხოენოვანი პატიმრის სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაციის დროს უზრუნველყოფილი იქნას თარჯიმნის მომსახურება, რათა პატიმარმა მიიღოს დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება**

3.3.2. ფსიქიკური ჯანმრთელობა

N8 დაწესებულებაში ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება, ფსიქიატრიული დახმარება კი არ ატარებს ბიო-ფსიო-სოციალურ ხასიათს. პაციენტებთან არ მიმდინარეობს მულტიდიცსიპლინური მუშაობა. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გაიწეროს მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა და ფუნქციები, რომელთა მხრიდანაც მოხდება მსჯავრდებულის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება და შესაბამისი მუშაობა.[37]

ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფსიქიატრთან დროულ რეფერირებას. იქიდან გამომდინარე, რომ N8 დაწესებულება ე.წ. „მიმღები“ დაწესებულებაა, დაწესებულებაში მოთავსებისას პირველადი სკრინინგი ერთჯერადად, სამედიცინო ბარათში ინტეგრირებული ინსტრუმენტით[38] ხდება. მხოლოდ დაწესებულებაში მოთავსებისას ერთჯერადი სკრინინგის ჩატარება კი არასაკმარისია, რადგან პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არის მასიური ფსიქოტრავმა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენას ან მის დეკომპენსაციას.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში დასაქმებულია 1 ფსიქიატრი, ასევე ჰყავთ 1 ფსიქიატრი კონსულტანტი, რომელიც კვირაში ერთხელ შედის დაწესებულებაში. დაწესებულებაში დასაქმებული ფსიქიატრი ნახულობს მოშიმშილე, დეესკალაციისა და უსაფრთხო ოთახებში, ასევე სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს. ფსიქიატრებთან კონსულტაციის მიზნით გადამისამართებას ოჯახის ექიმი ან მორიგე ექიმი ახდენს. ოჯახის ექიმებს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ობიექტურად შესაფასებლად

---

[36] იხილეთ უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არ მქონე პირების თავი.

[37] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, გვ.56. იხ. ბმული: <https://ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 25.07.2024].

[38] ინსტრუმენტი მოიცავს კითხვებს ფსიქიატრიული ისტორიის, სუიციდის, სტრესის, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების, ტრავმული გამოცდილების და ფსიქიატრის ან სხვა სპეციალისტების კონსულტირების საჭიროების შესახებ.

ინსტრუმენტი არ გააჩნიათ და მხოლოდ მწვავე, მკაფიოდ გამოხატული სიმპტომების შემთხვევაში ახდენენ პაციენტის ფსიქიატრთან რეფერირებას. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ოჯახის ექიმების მიერ ობიექტურად შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტის დანერგვის რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.[39]

N8 დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის უნარებს არ ფლობენ და აღნიშნული მიმართულებით გადამზადება არ ჩატარებიათ 2023 და 2024 წელს. კრიზისული შემთხვევის დადგომის შემთხვევაში დაწესებულებაში აქტიურად გამოიყენება დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების ფსიქიატრიული დახმარების გარეშე დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად მოთავსება წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ეს პრაქტიკა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

პაციენტების ამბულატორიულ სამედიცინო ბარათებში ფსიქიატრის კონსულტაციებს შორის პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ჩანაწერი არ არის, ასევე არ არის ინფორმაცია ფსიქოტროპული მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების შესახებ.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პირების ფიზიკური ჯანმრთელობის პერიოდული შემოწმება, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები**
- **დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა უზრუნველყოს პატიმართა სამედიცინო ბარათებში ფსიქოტროპული მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი ეფექტებისა და გვერდითი ეფექტების მართვის მიზნით მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შესახებ ჩანაწერების გაკეთება**
- **დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა უზრუნველყოს პატიმართა სამედიცინო ბარათებში მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე ჩანაწერების გაკეთება**

3.4. შეზღუდული კონტაქტი გარე სამყაროსთან

გასული წლების მსგავსად, N8 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნები სამწუხაროდ კვლავ მინის ბარიერის მიღმა, ტელეფონების მეშვეობით ხორციელდებოდა და პატიმრებს არ აქვთ მათ ახლობლებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა.[40] კვლავ პრობლემურია

[39] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, გვ. 56 იხ. ბმული < https://ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 25.07.2024].

[40] აღნიშნულ საკითხზე ასევე მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში 2018 წელს განხორციელებულ ვიზიტის შემდგომ ანგარიშში. ანგარიშის თანახმად, ხანმოკლე პაემნების სივრცეები უნდა მოდიფიცირდეს ისე, რომ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ მნახველი გონივრულად ღია პირობებში. დახურულ პირობებში ვიზიტების განხორციელება უნდა იყოს საგამონაკლისო, კარგად დასაბუთებული და

კონფიდენციალურ გარემოში სატელეფონო საუბრის განხორციელება. დაწესებულების ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ტელეფონის აპარატები განთავსებულია სამორიგეოში და პატიმრის სატელეფონო საუბარი ესმის როგორც მორიგეს, ასევე სამორიგეო ოთახში შესულ სხვა პირებს.

კვლავ პრობლემად რჩება დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა. საერთაშორისო სტანდარტები დაუშვებლად მიიჩნევს დისციპლინური სახდელის სახით პატიმრისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას.[41]

N8 დაწესებულებაში 2023 წლის ბოლო 5 თვის მანძილზე 493 დისციპლინური სახდელი[42] იქნა გამოყენებული, აქედან გარე სამყაროსთან კონტაქტი[43] პატიმრებს 135 შემთხვევაში (27.38 %) შეეზღუდათ, ხოლო 2024 წლის პირველი 5 თვის მანძილზე N8 დაწესებულებაში სულ 474 დისციპლინური სახდელი[44] იქნა გამოყენებული, აქედან გარე სამყაროსთან კონტაქტი 148 შემთხვევაში (31.22 %) იქნა შეზღუდული.[45]

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პატიმრების ოჯახის წევრებს ხშირად არ აქვთ პაემანზე მისვლის შესაძლებლობა და მათთან ურთიერთობის შენარჩუნების ძირითად საშუალებად სატელეფონო კომუნიკაცია რჩება. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის დროსაც კი პატიმრები შესაძლოა მაინც აღმოჩნდნენ გარესამყაროსგან სრული იზოლაციის პირობებში.[46]

მართალია 2024 წლის პირველი 5 თვის მანძილზე 2023 წლის ბოლო 5 თვესთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა (4 %) პატიმართა მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი. სამწუხაროდ, ამის მიუხედავად წინა წელთან შედარებით დაკისრებულ დისციპლინურ სახდელებს შორის შემცირდა[47] შედარებით მსუბუქი დისციპლინური

განპირობებული ვიზიტორის ან პატიმრის მხრიდან არსებული პოტენციური რისკის ინდივიდუალური შეფასების შესახებ გადაწყვეტილებით. იხილეთ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 103, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: < https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024].

[41] ნელსონ მანდელას წესები 43.3.

[42] აქედან 178 იყო საყვედური, 161 - სამარტოო საკანში მოთავსება, 132- სატელეფონო საუბრის შეზღუდვა, 18 - ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა, 2 - კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა, 1 - პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა და 1 გაფრთხილება.

[43] ხანმოკლე პაემანი, სატელეფონო ზარი, პირადი ხასიათის კორესპონდენცია.

[44] აქედან 201 იყო სამარტოო საკანში მოთავსება, 142 - სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, 114- საყვედური, 10 - ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა, 6 - კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა, 1 - ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

[45] 2023 წლის ბოლო 5 თვის მანძილზე N8 დაწესებულებაში საშუალოდ 2 645 პატიმარი იყო, ხოლო 2024 წლის პირველი 5 თვის მანძილზე 2 632.

[46] იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, გვ. 67. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 27.07.2024].

[47] 2023 წლის ბოლო 5 თვის მანძილზე 178 საყვედური იქნა გამოყენებული, ხოლო 2024 წლის პირველი 5 თვის მანძილზე 114.

სახდელის საყვედურის (36%) გამოყენების მაჩვენებელი და გაიზარდა დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების (25%) მაჩვენებელი. სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს კი ეკრძალება გარე სამყაროსთან კონტაქტის ისეთი საშუალებები, როგორიცაა: ხანმოკლე პაემანი, ხანგრძლივი პაემანი და სატელეფონო საუბრები.[48]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულების დირექტორმა მხედველობაში მიიღოს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გარე სამყაროსთან კონტაქტის ისედაც მწირი შესაძლებლობები და პატიმრის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენისას გამოიყენოს ისეთი დისციპლინური სახდელები, რომლებიც არ უკავშირდება გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას[49]. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დაწესებულების დირექტორმა აქტიურად გამოიყენოს პენიტენციური კოდექსით გათვალისწინებული წახალისების ფორმები.[50] სამწუხაროდ, 2023 წლის ბოლო 5 თვესთან შედარებით, 2024 წლის პირველ 5 თვის მანძილზე 59%-ით შემცირდა პატიმართა წახალისების მაჩვენებელი, მათ შორის შემცირდა წახალისების სახით დამატებითი ხანმოკლე პაემნის (60%) და სატელეფონო საუბრის (39%) მინიჭების შემთხვევების მაჩვენებლები.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პატიმრის მიერ ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნება მაქსიმალურად უნდა იყოს წახალისებული და გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობა სახელმძღვანელო პრინციპად ჩამოყალიბდეს.

რეკომენდაცია N8 დაწესებულების დირექტორს:

- **პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით, დისციპლინური დარღვევის ჩადენისას გამოიყენოს ისეთი დისციპლინური სახდელები, რომლებიც არ უკავშირდება გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას, ასევე მეტად ხშირად გამოიყენოს წახალისების ისეთი სახეები, როგორიცაა დამატებითი ხანმოკლე, ხანგრძლივი და ვიდეო პაემანი და დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება**

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინიტრს:

- **უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე**
- **მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრების სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურ გარემოში განხორციელებას**

[48] პენიტენციური კოდექსის 78-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
[49] სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა და პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა.
[50] პენიტენციური კოდექსის 97-ე მუხლი (ბრალდებულის/მსჯავრდებულის წახალისება).

3.5. გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში გამოწვევად რჩება პატიმრების მიერ გასაჩივრების უფლების რეალიზება. პატიმრის მიერ საჩივრის ყუთებით სარგებლობა კვლავ იძლევა მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რადგან კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება კვლავ დაწესებულების პერსონალზეა დამოკიდებული. თანამშრომლისგან კონფიდენციალური კონვერტის მოთხოვნა კი თავის თავში გულისხმობს იმას, რომ პატიმარი საჩივრის დაწერას აპირებს. ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ, მართალია, საჩივრის შინაარსი დაწესებულებებისთვის უცნობი რჩება, თუმცა, თავად საჩივრის დაწერის ფაქტმაც კი შეიძლება პრობლემა შეუქმნას პატიმარს და აქედან გამომდინარე, თავი შეიკავოს კონფიდენციალური კონვერტის მოთხოვნისა და საჩივრის გაგზავნისაგან.

N8 დაწესებულებაში მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დარეკვის შესაძლებლობა პატიმრებს ეძლევა მხოლოდ 09:00 საათიდან 18:00 საათამდე პერიოდში.[51] სახალხო დამცველის ან სხვა უწყების ცხელ ხაზზე დასარეკად პატიმრები გაჰყავთ დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში არსებულ ტელეფონებთან, სადაც საუბარს ესწრება დაწესებულების თანამშრომელი და პატიმრებს არ აქვთ კონფიდენციალური საუბრის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა გადაამოწმეს და აღმოჩნდა, რომ N8 დაწესებულების A2 და B2 საცხოვრებელი კორპუსებიდან სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე არ ირეკებოდა.

გარდა ამისა, N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების თანახმად, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანა მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძვლების აღმოფხვრამდე, გარდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის შემთხვევებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემთხვევაში, პატიმრებს არ ეძლევათ სატელეფონო საუბრის განხორციელების უფლება და შესაბამისად არ შეუძლიათ ცხელ ხაზზე დარეკვა.

წლების განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავდა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში უზრუნველეყო პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება და შეეტანა შესაბამისი ცვლილებები პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.[52]

---

[51] N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით სატელეფონო საუბრის განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, 08:00 საათიდან 18:00 საათამდე, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეებშიც.

[52] იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, გვ. 74. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf> [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].

რეკომენდაციები N8 დაწესებულების დირექტორს:

- **საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და არ მოხდეს კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირება**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა N8 პენიტენციური დაწესებულებიდან სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე (1481) დარეკვის ხარვეზების აღმოსაფხვრელად**

4. მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები

4.1. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები

თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების ხელახლა მოპოვების იმედის გარეშე, შეუთავსებელია ადამიანურ ღირსებასთან და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს[53]. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის საზოგადოებაში დაბრუნების იმედთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია გათავისუფლების გეგმის შემუშავება, რაც განაჩენის გამოტანისთანავე უნდა განისაზღვროს და შემდგომში რეგულარულად გადაიხედოს[54].

N8 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის[55] დროს დაწესებულებაში 44 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული იხდიდა სასჯელს, ამათგან 28 მსჯავრდებული ჩართული იყო შემთხვევის მართვის პროცესში.[56] გარდა ამისა, 22 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული ჩართული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში. პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს[57] ვერ აკმაყოფილებდა 17 მსჯავრდებული, ხოლო 5-მა მსჯავრდებულმა უარი განაცხადა პროგრამაში ჩართვაზე.

გათავისუფლების პერსპექტივის შექმნასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმის ჩამოყალიბება, რაც დაწესებულებაში დანერგილი არ არის. მართალია დაწესებულებაში არსებულ სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში, რომლებიც გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის მიღმა ტარდება, ჩართული იყო უვადო

[5353] ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vinter and others v. The United Kingdom), ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-122664%22]}> [ბოლოს ნანახია: 30.07.2024].

[54] ციხის ევროპული წესები, წესი 103.8.

[55] 2024 წლის 4 ივნისი.

[56] ამ პირებზე სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები შედგა 2024 წელს.

[57] არ მოუხდია თავისუფლების აღკვეთის 12 წელი.

თავისუფლებააღკვეთილი პირების ნაწილი,[58] უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ზოგიერთი მათგანი არ არის ჩართული არცერთ აქტივობაში. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირებისთვის, ვინც ვერც გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ და იმ პირებისთვისაც, ვინც ხანგრძლივად მარტო არიან მოთავსებული და ყოველგვარ ადამიანურ კონტაქტს მოკლებულები.[59] სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ წლის ბოლომდე სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი ჩაერთვება მათი სურვილის გათვალისწინებით. დახურულ დაწესებულებაში ხანგრძლივი მოთავსება, ოჯახსა და მეგობრებთან ურთიერთობის ნაკლები შესაძლებლობა და გათავისუფლებისათვის მოუმზადებლობა მნიშვნელოვნად აზიანებს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს მიეცეთ მეტი ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანი, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის წევრებთან მყარი კავშირის შენარჩუნებასა და რეაბილიტაციას[60].

სამწუხაროდ, მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა,[61] არ გაზრდილა უვადო თავისუფლებააღვეთილი პირებისთვის პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა, თუმცა დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ნაწილს აქვს შესაძლებლობა ხანმოკლე პაემნების ფარგლებში ოჯახის წევრებს შეხვდნენ უშუალოდ, მინის ბარიერის გარეშე, ასევე სატელეფონო ზარები განახორციელონ კონფიდენციალურ გარემოში.[62]

უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ნაწილს აქვს შესაძლებლობა დღეში 2 საათით გაისეირნონ. გასეირნებისთვის გამოყოფილ დროში შეუძლიათ ივარჯიშონ მათთვის მოწყობილ სავარჯიშო სივრცეებში.[63] სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის სასეირნო დრო გაიზრდება.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

---

[58] 2024 წლის პირველი 6 თვის მანძილზე 14-მა უვადო თავისუფლებააღკვეთილმა პირმა გაიარა „ცხოვრების ჯანსაღი წესი“, 1- მა „პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევები“; 4-მა - „ბიბლიოთერაპია“; 1-მა „ბრაზის მართვა“ და 12-მა „სინემათერაპია“.

[59] 44 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულიდან ნახევარი - 22 პირი საკანში დიდი ხანია მარტოა მოთავსებული.

[60] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, (2015) ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/cpt/home [ბოლოს ნანახია: 30.07.2024].

[61] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, გვ. 65. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 31.07.2024].

[62] საკნებში აწვდიან ტელეფონის აპარატებს.

[63] ერთ სასეირნო ეზოში არის 5 წყვილი ჰანტელი, კრივის ტომარა, 1 ორძელი, 1 ტურნიკი, გრძელი სავარჯიშო სკამი, ხოლო მეორე სასეირნო ეზოში - ტენისის მაგიდა.

- **უზრუნველყოს ყველა უვადო თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულის, მათი სურვილის და საჭიროებების გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა**
- **ყველა უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირი უზრუნველყოს დღეში არანაკლებ 2 საათით გასეირნების შესაძლებლობით**

4.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები

2024 წლის ივნისში N8 პენიტენციურ დაწესებულებაში 268 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პატიმარი იმყოფებოდა, რაც პატიმართა საერთო რაოდენობის 10 %-ს შეადგენს.[64]

N8 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ კვლავ არ არის მიღებული პოზიტიური ზომები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების ღირსეულ, თანაბარ პირობებში სასჯელის მოხდის უზრუნველსაყოფად.[65] უცხოელ პატიმართა ყოფა დაწესებულებაში მძიმეა და არსებითად განსხვავდება საქართველოს მოქალაქეთა პატიმრობის პირობებისგან.

დაწესებულებაში შესახლებისთანავე, უცხოელი პატიმრები განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში არიან. ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემები უცხოელ პატიმრებს ხელს უშლით, სრულყოფილად ისარგებლონ დაწესებულებაში არსებული სერვისებით. პატიმრები არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარი უფლება-მოვალეობების, გასაჩივრების მექანიზმის, დისციპლინური სამართალწარმოების წესების, სამედიცინო მომსახურების გაწევის ორგანიზებისა და სხვა საკითხებზე[66], უჭირთ დაწესებულების თანამშრომლებთან ფსიქოლოგებთან, სოციალურ მუშაკებთან და სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაცია. დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაციის დროს არ ხდება თარჯიმნის მოწვევა.

N8 დაწესებულების გადატვირთულობის ფონზე გართულებულია საცხოვრებელ საკნებში განაწილებისას პატიმართა ენობრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინება. გარდა ენობრივი ბარიერისა, ქართველებთან და მესამე ქვეყნების მოქალაქეებთან ერთად

---

[64] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სისხლის სამართლის სტატისტიკის 2024 წლის ივნისის თვის ერთიანი ანგარიში < https://www.geostat.ge/media/64446/danarti_ivnisi_2024.pdf > [ბოლოს ნანახია: 30.07.2024].
[65] ციხის ევროპული წესები 37.1.
[66] მართალია დაწესებულების შემთხვევის ადმინისტრატორებმა წარმოადგინეს ბუკლეტი 10 სხვადასხვა ენაზე პატიმართა უფლება-მოვალეობების შესახებ, თუმცა მსგავსი ბუკლეტები არ მოიპოვებოდა არც დაწესებულების ბიბლიოთეკაში და არც გამოკითხულ პატიმრებს ჰქონდათ.

განთავსება, დახურული ტიპის დაწესებულებაში, სადაც პატიმრები 23 საათის განმავლობაში საკანში იმყოფებიან, კონფლიქტების მაპროვოცირებელი მიზეზიც ხდება[67].

სამწუხაროდ, არ სრულდება სახალხო დამცველის რეკომენდაცია[68] საკვების მომზადებისას კულტურული და ეთნიკური საჭიროებების გათვალისწინების შესახებ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის კვლავ პრობლემად რჩება საზღვარგარეთ მყოფ ოჯახებთან დაკავშირების სირთულე. სატელეფონო ზარის საფასური მაღალია და ზოგიერთ სახელმწიფოში კი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნაც შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებს უკავშირდება. სახალხო დამცველის რეკომენდაციის[69] მიუხედავად, არ გაუქმებულა საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და დაწესებულებაში პატიმრებისთვის საერთაშორისო ზარის განხორციელება არ არის შესაძლებელი ყოველდღიურად, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით. ასევე, ასეთი პირები ვერ ახორციელებენ საერთაშორისო ზარებს შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად.

წინა წლების მსგავსად, უცხოელი პატიმრები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულები, ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებით, ასევე ვიდეოპაემნით. სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში[70] აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გადაიხედოს ვიდეოპაემნის განხორციელების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდეოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება, ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება.

2024 წლის პირველი 6 თვის მანძილზე, დაწესებულებაში განხორციელებულ სარეაბილიტაციო აქტივობებში, სამწუხაროდ, არცერთი ქართული ენის არმცოდნე პატიმარი არ ყოფილა ჩართული. ქართული ენის არმცოდნე პატიმრები, მიუხედავად მათი სურვილისა შეისწავლონ ქართული ენა, ენის ბარიერის გამო კვლავ ვერ ერთვებიან სარეაბილიტაციო აქტივობებში. 2024 წლის პირველი 6 თვის მანძილზე დაწესებულებაში ქართული ენის შემსწავლელი კურსი არ განხორციელებულა.[71] ქართული ენის საბაზისო ცოდნა კი, დაწესებულების შემთხვევის მმართველის თქმით, აუცილებელი მოთხოვნაა იმისთვის, რომ ასეთი მსჯავრდებულები რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართონ. როგორც

---

[67] N8 დაწესებულებაში 2024 წლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პატიმრებს შორის არაერთი ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების შემთხვევა გამოვლინდა.

[68] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, გვ. 107. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf > [ბოლოს ნანახია: 31.07.2024].

[69] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში. გვ. 107-108. ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf > [ბოლოს ნანახია: 26.07.2024].

[70] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში, გვ. 71. ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > [ბოლოს ნანახია: 27.07.2024].

[71] ბოლოს, 2023 წლის მანძილზე, N8 დაწესებულებაში მხოლოდ 4-მა პატიმარმა გაიარა აღნიშნული კურსი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიშში[72] აღინიშნა, მნიშვნელოვანია 2024 წელს აღირიცხოს ყველა ის პატიმარი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ყველა მათგანს შეეთავაზოს ქართული ენის შესწავლა. ამასთან, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, სადაც ქართული ენის არცოდნა არ ქმნის არსებით ბარიერს მონაწილეობისთვის (მაგალითად, ხეზე კვეთა, ძერწვა, თიხაზე მუშაობა, სპორტული აქტივობები და სხვა). გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას შესაბამისი ჯგუფებისთვის უცხო ენაზე აქტივობის ჩატარების ან თარგმანის უზრუნველყოფის საკითხი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაძლებელია დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების გადამზადება რომ მათვე შეძლონ ქართული ენის არმცოდნე პატიმრებთან ქართული ენის შემსწავლელი კურსის ჩატარება. გარდა ახალი გამოცდილებისა, ეს მეტი ადამიანური ინტერაქციის საშუალებას მისცემდა დაწესებლებაში მყოფ პატიმრებს.

რეკომენდაცია N8 დაწესებულების დირექტორს:

- **პატიმართა საკნებში განთავსების დროს გათვალისწინებული იქნას ლინგვისტური, რელიგიური და კულტურული თავისებურებები**

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **საკვების მომზადების დროს გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები**
- **ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით; მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ**

[72] ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024053014473115290.pdf > გვ. 50-51. [ბოლოს ნანახია: 28.07.2024].